საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №02
2021 წლის 22 იანვარი

ქ. თბილისი

„უწყებრივი მედლისა და სამკერდე ნიშნის ნიმუშების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №60 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„უწყებრივი მედლისა და სამკერდე ნიშნის ნიმუშების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №60 ბრძანებაში (ვებგვერდი, 02/07/2018, სარეგისტრაციო კოდი: 001330000.22.026.016607) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-15 ნიმუშს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, მედლით „ღირსეული პარტნიორი“ შესაძლებელია დაჯილდოვდნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც განსაკუთრებული დახმარება გაუწიეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებს და მათი საქმიანობა მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**